პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 55.80 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ [redacted]) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -,,მეთამაშე"-სათვის (ს/კ [redacted]) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 55.80 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ [redacted]) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,მეთამაშე"-სათვის (ს/კ [redacted]) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე